

572 /
1968/2



1968 ԵՄՈՅՅԱԹՈՒՆ II

ԳՐԱԴԱՐԱՆ





საბჭოთა კავშირის
სახელმწიფო ღერბი



საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღაზი

თსუთავატი ძმა

სიმონ შაფრაიანი

ტვაქვს ოჯახი დიდზე დიდი,
მისი ქება ვის არ ესმის!..
გვწოდბი მიღვას თოთხმეტი ძმა
ერთმანეთზე უკეთესი.

ერთად ვსარობთ ღვიძლი ძმები,
ერთი გრძნობა გვაკავშირებს;
სიყვარული ერთმანეთის
ჩაფინერკეთ აკვანშივე.

მე—ქართველს და უკრაინელს,
რუსს უშიშარს შინ და გარეთ—
მსარს გვიმშვენებს მოღდავული;
ესტონელი გულს გვისარებს.

ლიტველი და ლატვიელი,
ეირგისი და ბელორუსი—
ფველა ჩემი იმედია
ჭირშიაც და სისარულშიც.

თურქმენისთვის, ტაჯიკისთვის
განა რამეს დავისარებ?!
ვენაცვალე ვასასს, სომქსს,
უსბექს, ასერბაიჯანელს!..

გავისრდებით, გავლადღებთ
მე და ჩემი ღვიძლი ძმები;
თუ დასჭირდა ჩვენს ქვეყანას,—
ერთ დიდ მუშტად შევიკავებთ.





10.682.

3 კოლოკვი
ნახატი 3. ბაღიჩიანი



რუსეთის სსრკ

უხველკები ლანიტან

ნიურას, ნიურას ძმას პაშკას და მათ მეგობარ ვალოდიას ტყიდან კალათებით სოკო მოჰქონდათ. უცებ, ავტომობილის ხმა შემოესმათ. გზიდან გადადგნენ. მერე, როგორც პატარებმა იციან ხოლმე, ავტომობილის უკან გამოუდგნენ. იმხანად ავტომობილის გამოჩენა სოფელში იშვიათი ამბავი იყო.

ავტომობილი გაჩერდა. კარი გაიღო. — ჩასხედით, ბავშვებო! — მიიწვია ბავშვები კებიანმა კაცმა.

ამაზეა ნათქვამი: — ბელი კარს მოგვად-

გაო! ბავშვები ერთი ამბით შეცვოდნენ ავტომობილში და უკანა საფარძელზე მოკალათდნენ. მათ გვერდით ქალი იჯდა, ქალს შლიაპა ეხურა და თაღხი კაბა ეცვა. ბავშვები ვინც მიიპატიჟა, ის კაცი წინ იჯდა.

— წავიდეთ! — თქვა იმ კაცმა.

მანქანა დაიძრა, კებიანი კაცი ბავშვებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ბერი სოკო დაკრიფეთ? რომელ ტყეში იყავით? სადაურები ხართ?

ყველაფერი გამოჰკითხა. იღიმებოდა,



კეთილი, აღერსიანი თვალები ჰქონდა. ბავშვებს იგი სადღაც ენახათ, მაგრამ სად?—ვერა და ვერ გაიხსენეს.

უცებ, ვალოდიამ თვალები დაჰყიბა:
— პაშ!—წასჩურჩულა პაშას და იდაყვი გაჰკრა.—ეს ხომ ლენინია! სურათით ვი-

ცანი. გვეტივებით, ისაა, ის!
ქალს ესმოდა ბავშვების ჩურჩული და ილიმებოდა.
...აი, ასე გაიცნეს მოსკოვის გარეუბნელებმა ვლადიმერ ილიას ძე და მისი და—მარია ილიას ასული.
ეს ამბები 1919 წლის აგვისტოში მოხდა.

სოკოზა

ვლადიმერ ილიას ძესთან ერთად, უთენია სოკოვებზე წავედით ტყეში. ვლადიმერ ილიას ძეს კალათა არ ჰქონდა და ჩვენ მივეცით...

ქალაქელი კაცია და სოკოების კრეფა საიდან ეცოდინება! — ვიფიქრეთ, მაგრამ შევეცდით.

გადასწევს ლენინი ნაძვის ტოტს და მის ქვეშ დათვა სოკო გამოჩნდება! დაიხრება, გამჭრიახი თვალით იქაურობას მიათვალერებს, ხელებს მოაფათურებს და რას ხედავ, კალათში უკვე ორი-სამი სოკო უგდება...

აშკარად ფტკობა, იცის, როგორ მო-

ძებნოს სოკო. სოკოებს დანით სჭრის. ბავშვებსაც ურჩევს: დანით მოჭერით, ასე სოკო არ გაიღახება და სუფთადაც მოიკრიფება.

შუადღემ რომ მოატანა, ყველანი: ნიურა, ვალოდია, პაშა და ლენინი, კარგა მაგრად დაიქანცნენ, ტყის პირას მღვლოზე წამოწუნენ. პურის ნატყეხი, ნაჭერში გამოკრული მარილი და ხახვი ამოიღეს. გემრიელად ახრამუნებდნენ და ზედ ბინულის წყალსაც აყოლებდნენ.

ვლადიმერ ილიას ძე სოკოებს ათვალერებდა და განხარებული ამბობდა:
— ღიღებულნი სოკოვებია, ღიღებულნი!

უჩაქაუი

ერთხელ ნიურას და პაშკას დედა, შინ სიხარულისაგან ფრთაშესხული დაბრუნდა. ყველანი შინ იყვნენ—ბავშვებიცა და მამაც.

— იცით, ვინ იყო დღეს ჩვენთან ფერმაში?—იღუმალი ხმით თქვა მან.—ლენინი! ის იყო დავამთავრეთ წველა და, შემოვიდა. მაშინვე ვიცანით. მოკრძალებულად მოგვესალმა: აგერ, ახლოს ჩავიარე და შემოვიარეო,—გვითხრა.

ვერს კი შევამჩნიეთ, როგორ ჩავებით საუბარში.

რომ ვუთხარი, ორი ბავშვი მყავს-მეთქი, ნიურა და პაშკა ხომ არაო?—მკითხა. დიახ-მეთქი,—მიუვგე გაცე-ბულმა.

— ო, ისინი ჩემი კარგი მეგობრები არიან,—გაცენა ლენინს,—იცით, როგორ მიეხვდი? ძალიან გგვანან თქვენ.

ხომ არათფერი სჭირდებათო,—მკითხა ბოლოს.

მინდოდა მეთქვა, საზამთროდ ფეხსაცმელები გვიქირს-მეთქი, მაგრამ მომერიდა...

პაშკამ, ეს რომ გაიგონა, გაიფიქრა: „ყოჩად, დედაჩემო! კარგად მოქცეულხარ, რომ არ გითქვამს. ძია ლენინს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს. მე და ნიურა კი იოლად გავალთ,—რიგ-რიგობით ჩავიცვამთ ძველ თექურებს; ამასობაში კა ზამთარიც მიიღევა“.



უკრაინის სსრ

მეუ სეი ნეთ

კლავონ ვორონოვ

ნახატი ა. პალოვოლინა

«მოუსმინეთ ნალარას და ბუკებს,
შურისგების ჟამი დადგა უკვე...»
ეს სიტყვები მთელს რუსეთში უცებ
დროშასავით აიტაცეს მაღლა,
ბრძოლის ცეცხლი წაეკიდა ქუჩებს
და დაიძრა აჯანყების ტალღა.

«მოუსმინეთ ნალარას და ბუკებს,
შურისგების ჟამი დადგა უკვე...»
დასცეს ზამთრის სასახლესთან ერთად
ძალადობის საუკუნეც მაშინ,
ბეტროვრადი ჰვავდა ზღაპრულ მხედარს,
ბაქროლბეულს ცეცხლოვანი რაშით.

«მოუსმინეთ ნალარას და ბუკებს,
შურისგების ჟამი დადგა უკვე...»
დავამარცხეთ უცხოელი მტრებიც,
ვისაც ჩვენი დამარცხება სურდა,
ნამგლისგან და ჩაქურისგან ლერბი
გამოგვბედეთ და წინ გვიძღვის მუდამ.

დღეს ძალით და ღონითა ვართ საგზე,
მივაბიჯებთ კომუნიზმის გზაზე.
«მოუსმინეთ ნალარას და ბუკებს!» —
ახლა გული თვითონ მღერის უკვე.



ბელორუსიის სსრ



უმირის ზილიკი

მიხაილ მარჩიკი

ნაბატები ა. ლუშევიჩი

ვანთადისას პარტიზანებმა ფაშისტების ვარნიზონი გაანადგურეს. ვერც ერთმა ფაშისტმა ვერ მოახერხა ცეცხლის რკალის გაზღვევა.

პარტიზანების შტაბში ტყვეები მოიყვანეს. რაზმის მეთაურმა ტყვეებს საბუთები გაუსინჯა. ჰიტლერელი ჯარისკაცის დღიური ჩაუვარდა ხელში. მეთაურმა გადაშალა და ერთ გვერდზე შეაჩერა თვალი: „რუსებს ვერ მოვერევით, რადგან ბავშვებიც კი იბრძვიან და გმირებოვით ილუპებიან“. მეთაური დაინტერესდა და ტყვეს გამოკითხვა დაუწყოა: ბავშვებში ვის გულისხმობო?

— სულ პატარა ბიჭი იყო, — დაიწყო ტყვე ჯარისკაცმა, — თორმეტი წლისა თუ იქნებოდა. სოფელ ბაიკიში ცხოვრობდა, რუჟანთან ახლოს. ჩვენმა ოფიცერმა იცოდა, იგი პარტიზანების მოკავშირე იყო და უბრძანა, ჩვენი რაზმი პარტიზანთა ბანაკში მიიყვანეო. ბიჭუნამ კი კანკრობში შეიტყუა ისინი და ყველანი დაილუპნენ. მხოლოდ მე დავაღწიე თავი იმ ჯოჯოხეთს.

პარტიზანებმა მდუმარედ მოიხადეს ქუდები. იცოდნენ, რომ მათი მოკავშირე ბაიკიში ტიხონ ბარნი იყო. პარტიზანებს ეგონათ, როცა ფაშისტები ტიხონის მშობლიურ სოფელს ანადგურებდნენ, თანასოფლელებთან ერთად, ისიც დაგვრეტსო.

მაგრამ საქმე თურმე სხვაგვარად ყოფილა. დარია და მაქსიმე ბარანებს ექვსი შვილი ჰყვდათ. მათი სახლი ზედ რუჟანის ტყის პირას იდგა.

როგორც კი ვაშისტებმა ბელორუსია დაიპყრეს, პარტიზანებმა ამ სახლში სტამბა მოაწყვეს. მესხერზე და სახლების კედლებზე ყოველდღე

ჩნდებოდნენ პროკლამაციები. ამ ფურცლებს ფაშისტების კომენდატორის კარზეც კი აკრავდა ვიღაც. გესტაპოელები და პოლიციელები თავს არ იზოგავდნენ, რომ როგორმე დაეჭირათ იგი. პარტიზანებმა სტამბა უღრან ტყეში, თავიანთ ბანაკში გადაიტანეს. გაქრნენ სოფლიდან მაქსიმე ბარანი და მისი უფროსი ვაჟები. პატარა ტიხონი კი მშვერავი და მოკავშირე გახდა. ფეხზე ქალამნებით, ზურგზე ტომარამოკიდებული და დიოდა სოფლიდან სოფელში, უთავლთვალელებად, საღ იდგნენ ფაშისტების ნაწილები და ფურცლებს ავრცელებდა.

ერთხელ ბაიკიში ჯალათთა რაზმი ჩამოვიდა. მათ დაიჭირეს ტიხონის დედა, მისი უმცროსი დედა და ვოლკოვსკის ბანაკში წაიყვანეს. ბიჭუნას და მის დედას შიმშილით სულს ხდიდნენ, სცემდნენ, უნდოდათ შეეტკოთ, საღ იყვნენ პარტიზანებში... მაგრამ რაკი ვერაფერს გახდნენ, ტიხონის დედა გერმანიის გზას გაუყენეს, ტიხონი და მისი დედა კი შინ გაუშვეს.

გოგონები მეზობლებმა შეიკედლეს, ტიხონი კი ისევ სოფლიდან სოფელში დადიოდა და კვლავ სამხედრო ცნობებს აწვდიდა პარტიზანებს.

1944 წლის 22 იანვარს სოფელ ბაიკის ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს. უინავდა, ქარბუქი მძინვარებდა. ჯალათებმა ხალხი სახლებიდან გამოყარეს და სოფელს ბოლოსაკენ გაიარკეს. ტიხონმა გულზე მიიკრა თავისი დედა და ისე მიაბიჯებდა თოვლში.

გესტაპოელმა ბიჭუნა იცნო. სწორედ მან დაჰკითხა ტიხონი ვოლკოვსკის ბანაკში. ბიჭი გვერდზე გაიხმო და უბრძანა:

— თუ გზას არ გვასწავლი პარტიზანებოისაკენ, დაგხვრტ!

აკაიანდა ტყვიამფრქვევი. ეცემოდნენ ქალები, მოხუცები, ბავშვები. ტიხონმა დაინახა, როგორ დაეცნენ მისი დები თოვლში. სოფელი ვეებერ-თელა ჭიკოკონასავით ბრიალებდა. ფაშისტებმა 949 კაცი დახვრტეს. ცოცხალი ვადარჩა მხოლოდ ერთი ბიჭუნა—ტიხონ ბარანი.

— გავვიძებს!—უბრძანა ოფიცერმა.

— კეთილი;—ცრემლების ულაპავით უპასუხა ტიხონმა,—მე თქვენ გიჩვენებთ...

ის მიდიოდა წინ. ზურგში ფაშისტური ავტომატები ჰქონდა მიშვერილი. ქარბუქი ჩუმქრავდა გზებს, უღრან ტყეში ბინდი ჩამოწვა. ვალიეს ტყე, აქა-იქ მხოლოდ ვაგები და ბარდანდადებული კუნძები მოჩანდა. ირგვლივ ვაუვალი ტანქრობი იყო. იანვრის უნივასაც კი ვერ ვაეყინა კაობი.

ტიხონის უკან მიმავალი ვარისკაცი ლიაში ვადავარდა, მორემ მისი შველა მოინდომა და ისიც ჩაუტყუშელავდა.

— სად მოვავყანე აქ?!—დაიღრიალა ოფიცერმა და პისტოლეტი იძრო.

—იქ, საიდანაც ვერასოდეს ვერ ვამოხვალთ!—მშვიდად მიუგო ტიხონმა,—მოგვწლოთ სამავიერო დედაჩემის, ჩემი დების, ჩვენი სოფლისათვის.

ვაისმა სროლა.

იმ ზამთრის შემდეგ ოც წელზე მეტი ვავიდა. ნახანძრალზე ახალი ბაიკი ვაშენდა. აშრიალდნენ ბალები და უანები. სახლში, სადაც ახლა ტიხონის მშობლები ცხოვრობენ, ზშირად მოდიან დიდები და პატარები, პიონერები და ოქტომბრელები. ისმენენ ცისფერთვალემა ბიჭუნას ამბავს, რომელმაც საქვეუნოდ ცნობილი ივანე სუსანიის გამირომა ვაიმეორა.





უზბეკეთის სსრ

ჰასანა და ჰუსანა

აბლუსალია ირისოვი



ნახტი ზელმან მუჰამედოვისა


ერთ კაცს ტყუბი ვაჟი ჰყავდა— ჰასანა და ჰუსანა. ისინი სიარულითაც კი ჰგავდნენ ერთმანეთს, ლაპარაკითაც ერთნაირად ლაპარაკობდნენ. ხალხი მათ მხოლოდ ერთი თვისებით ანსხვავებდა: ჰასანა ჩხუბის თავი იყო, პატარებს ჩაგრავდა, სათამაშოებს ართმევდა. ჰუსანა კი— წყნარი და პატარების ქომავი: ატირებულებს სათამაშოებს უბრუნებდა.

ბავშვებმა ძმებს ყინულა და ქომავა შეარქვეს.

თქვენ როგორ ფიქრობთ: რომელი ძმა უფრო ეყვარებოდათ, ჰასანა თუ ჰუსანა?!



— ვინ დარგავს პომიდვრის ჩითილს?



— ვის უნდა პომიდორი?



ყაზახეთის სსრ

აიმაკელი

ნარბინ ქანჯაულოვა
ნახატი ნ. ქაზანსევიძე

პატარა აიმაკს აულში მეტსახედავ ბავშვებმა „ვაი-ვაი“ შეარქვეს.

აიმაკის ოჯახი ქადაქიდან სულ ახდახან ჩამოსახდა აულში. გოგონა ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული აქაურობას, თხას სათოფეზე ვერ ეკარებოდა, ჩრლისა ეშინოდა; მაგრამ ყველაზე უფრო ბაქურა ძაღლის შიში ჰქონდა.

— ვერ გამოვიბა, რისი გეშინია, — ეტყობოდა ხოლმე ბებია აიმაკს. — გაბნა ამაზე უწყინარი ძაღლის სადმე ნახავ? სულ ყვეს და ყვეს, კბენით კი ჯერ არავისთვის უკბენია.

— არა უშავს, ბებია, არა უშავს, შეეჩვევა და მერე აღარ შეეშინება, — ეუბნებოდა ბებიას მემობლები.

აიმაკი კი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა ვიყო ასეთი მშინარა.

ერთ მშვენიერ დღეს სკოლიდან ბრუნდებო-

და. არხეინად მოიმღეროდა. უცბად წივილი შემოესმა. დინახა, ბაქურა წივილს გამოკიდებოდა. ჩანდა სწრაფად მოისროდა და „ვაი-ვაის“ დახრით ძაღლს გამოეწოთ. ბაქურამ წივილს თავი მიანება და აიმაკს კულის ქიკინით შეეგება.

— რას მიყურებ, შექოფაქო, შენა, ახლავე შინისკენ მოუსვი, — დაუტატანა ძაღლს და გულგახეთქილი წივილა ხელში აიყვანა.

გოგონა ბაქურას თვალბეჭედი უტყუვდა და თან ამაყად ეუბნებოდა:

— ბაქურა, ხომ მხედავ, რომ აღარ მეშინია შენი, ჩქარა დაიკარგე აქედან!

აიმაკი თვალი გააყოლა, როგორ მიძუნძულებდა კუდამოძულებული ბაქურა და მოწივიწივი წივილს აღერსით თავზე ხელი გადაუსვა.



აზერბაიჯანის სსრ

ზოგადი

ხალხური ზღაპარი

უბეელს დროში, ერთ მიერუებულ სოფელში, შეუბრალებელი და უსასტიკესი ბატონი ცხოვრობდა. კლეხებს სულს აქეთ რაც ებადათ, ბატონს ღალაში მიჰქონდა. თუ ვინმე გადანდანს შეაგვიანებდა, კარ-მიდამოს ართმევდა და ცარიელ-ტარიელს სტოვებდა. ერთი გოჯა მიწა რა არის, ისიც კი აღარაუის ჰქონდა; მთელი სოფლის მიწა-წყალი ბატონის იყო და ცხოვრობდა მეფუ-

რად. კლეხობა დაიშა და რა ეღონა, აღარ იცოდა.

კლეხის შეილება შიმშილით სული რომ არ ამოსდომოდათ, ჩამორთმეულ ადგილებში გადადიოდნენ და ხან ოღოქღერს იპარავდნენ, ხან მწვანელითა და ხილით ივსებდნენ კმუცს.

ბატონმა შეიტყო, მძიერი კლეხები შემოაშვევიან და ჭირნახულს მიჩანაგებენო.

ადგა და, მთელი ადგილ-მამული ეკლიანი მავთულით შემოღობა. ეს როდი იქმნა, თოფიანი მუველეებიც მიუყვნა.

დღითი-დღე მატულობდა შიშილი. ბავშვებს დიდებაც მიზამეს. ეკლიანი მავთულის ღობეებში მერებოდნენ და რასაც მოიხელ-თებდნენ, ეველაფერს ზირში იტენიდნენ. ჭამა-სმისაცან გარუმბული ბატონი კი გლგესებს ემუქრებოდა:

— ჰაი, თქვე სალახანებო, დამაცადეთ, ამოვალ თქვენს ოსტში!

გულქვა ბატონმა მხოლოდ ერთ დედაბერს შეაჩინა ბაღი. ახლა ამ ბაღსედაც დადგა თვალი.

ერთსელ დედაბერი ბატონთან მივიდა და მიესალმა:

— ჩვენს მწეალობელ ბატონს სიცოცხლე და დღეგრძელობა!

— აქ რამ მოგოყნა?—ჭკითხა ბატონმა.

— ჩემს ბაღს წულის წვეთი აღარ სვდებ, დიდო ბატონო. გევედრები, გადმოუშვი წუალი, ჩემს ბაღსაც ჩაუაროს, თქვენ რა გუნაღვლებათ!

— მომიდე შენი ბაღი,—უთხრა ბატონმა,—თუ უარს გაბედავ, წულის ნატრულს გავსდი.

— ვერ მოკვიდი,—ჯიუტად მიუგო ქალმა.—ჩემი ვაჟი წულებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამეს ამ ბაღში ასწორებს და ამით გვარჩენს.

— თუ ასეა, წუალს მოცემე ერთის ზირობით: ჩემი მამულის ირგვლივ ოცი წვება ეკლიანი მავთული მაქვს შემოვლებული. თუ შენი ვაჟი მუველეებს გაეზარება და ამ მავთულებზე გადავა, წუალს არ მოკაკლებ.

დედაბერმა ბატონის ნათქვამი შეილს უთხრა.

ვაჟი დთანმდა და გზას გაუდგა. გაეზარა მუველეებს, გადასტა ეკლიანი მავთულების წვებას: ერთს, ორს, სამს, მაგრამ ბოლო მავთულზე ძალამ უძტეუნა, სედ გადაეკიდა. ჭაბუკის სხეული ნაჭერ-ნაჭერ შერჩა ეკლებს, სისხლით კი მიწა მოიწწა.

დედაბერი გამწარდა:

— ეველად ექცეს ტანი, ვინც შენ ამ დღეში ჩაგაკლო!

დედის წვევლამ გაჭრა. ბატონი ზღარბად იქცა და მთელი სიცოცხლე ასე გაატარა.





სომხეთის სსრ

ყველაზე ლაგაზი

პარლემს ბაბიანი



მხატვარი ალექსანდრე კოპალიანი

დილიდანვე, როგორც კი
ზღვაზე ღელვამ იმატა,
აცემციმდა, აცეკვდა
ერთი წვეთი კიატა.

ხან დიდ ტალღას
მოახტა,
მიჰყვა კლდოვან
ნაპირთან,

ხან იცინა გულითა,
ხან დაღონდა, ატირდა,
ვარსკვლავებსაც მიეჭრა,
ფრთები გაჰკრა იმათაც,
ერთმა მიჟალღერსა,
გაულიმა თბილადა,
მეორე კი შემოსწყრა,
აბუსუნდა კვიმატად:

— აღმასიცი რომ იყოო,
მტკიცე რკინის მკვეთიო,
ჩემი შიშით ისევე
გახდებოდი წვეთიო...

ცისარტყელას კალთაზე
მიეშძივა ხელადა
და შისავით გაბრწყინდა
ისიც ათასფერადა.

მერე იქცა ფრთამალმი
ქარის სათამაშოდა,
უფრო მალმა ავიდა,
მიწას უფრო დაშორდა.
და როს ქარი ცივ
ღრუბელს

ეცა გასაფანტავად,
მცირე წვეთი მაშინვე
გადაიქცა ფანტელად:
გადაიქცა ფანტელად
უსპეტაკეს თოვლისა
და თუმც ყველაგან
ოცნებად

სდევდა კალთა

შშობლისა,
ჟინმა მიანიც იძალა
სივრცეების შოვლისამ
და... აცეკვდა, გაქანდა
მარჯვენე, მარცხნივ,
განდაგან,
ნება-ნება, თანდათან

დაბლა-დაბლა დაქანდა,
გული ამოუვარდა,
გული აუქანდა.
ბოლოს ჩვენი
წყლის წვეთი,
გაჩნდა შშობელ
აკვანთან.

სიხარული ჩაუღვა
გაბრწყინებულ
თვალეზში
და ფანტელი მაშინვე
დადნა ღედის

ალერსით...
დღედამ ჰკითხა ღიმილით:
— შითხარ, ჩემო
პატარავ,

სად წახველო, რა ნახე,
სად იყავ და სად არა...
— განა საკითხავია,
სად არ ვიყავ, სად არა?!
ცაში ქარმა ფრთამალმა
კიდით-კიდე მატარა:
ვნახე ღრუბლის ქულები
ქარავნები ვარსკვლავთა,
ცისარტყელა ცის ქამარს
შვიდფერად როგორ

ნასკვავდა,
მეგრამ სილამაშეში
ვერვინ ვერ შეგმცილოს,
შენზე კარგი მე ვერსად
ვერვინ ვნახე, ღედილო.



ესტონეთის სსრ

ლეჩი

პ. შიბანი

ნახატი პ. პანდარიისა

ერთხელ კერსტი სკოლიდან გახარებული დაბრუნდა შინ და დაიკოს მიახარა:

— იცი, ლია, დღეიდან ყველაფერში მე უნდა მომბაძო.

ლიას თავიც არ აუწევია, ისე მიუგო:

— შენ მომბაძე, თუ კარგია!

— ჩემო დაიკო, — გაეცინა კერსტის, შენ ჯერ ბატარა ხარ. თუ ყველაფერში ჩემსავით მოიქცევი, კარგი გოგო იქნები.

ის-ის იყო, ლიას უნდა ეთქვა, სულაც არ

ვფიქრობ, შენ მოგბაძო, რომ კერსტის მკერდზე წითელ ვარსკვლავს მოჰკრა თვალი.

«უი, რა ლამაზი ვარსკვლავია! ნეტავ მეც მქონდეს», — გაიფიქრა ლიამ.

კერსტი შუა ოთახში ამაყად იდგა და მკერდზე ოქტომბრელთა ვარსკვლავი უბრწყინავდა.

აჰა, რაკი კერსტი ოქტომბრელია, რა თქმა უნდა, უმცროსმა დაიკომ უნდა მიბაძოს.

კერსტი გაკვეთილებს ჩაუჯდა. ლიამაც მიატოვა დედოფალა და ნახატებიან წიგნს დაუწყო ძებნა. როცა კერსტი ღიღინებდა, ლიაც ღიღინებდა.

აი, კერსტი წინდების დაკემსვას შეუდგა. საქმე რომ მოათავა, ლიას სთხოვა, ეს ნემსი და ძაფი დედას წაუღეო.

— არ წაეფუღებ. — გაჯიუტდა ლია, — ახლა ჩემი წინდები უნდა დაკემსო.

— წაუღე ახლავე, — უთხრა კერსტიმ, — შენ ჯერ ბატარა ხარ. წინდების კემსვა რა შენი საქმეა? ლიამ კერსტის შეხედა.

— რა დიდად მოაქვს თავი. დამაცადოს, მეც გავზღები ოქტომბრელი, — ბუტბუტებდა ლია.





ლატვიის სსრ

პიპპაი

ქალაქი

რიკარდ ვაიხენი
ნახატი ბ. სპანკვიჩისა

ჩვენ სკოლა გვაქვს ახალი,
ღამაში და მაღალი.
გვაქვს პატარა მერხები,
წიგნი—ცოტა ძალიან,
ყურმასთვის და ფისოლთვის
ახლა სადა გვცალია.
რაა გასაკვირველი
მოგვწონს სიტყვა პირველი.
ციფრიც მოგვწონს პირველი,
ანბანს ვიწყებთ ხვად,
ბეგ დავიწყებთ თვდას.





ლიტვის სსრ



3. რუკასი
ნახტი ბ. რუნიანისი

მტრელი დავხატე

ჩემი ქვეყნის ცა—ლაჟვარდი
მართლაც მტრედისფერია,
ჩემი ქვეყნის ლაჟვარდ ცაზე
სულ მტრედები მღერიან.
მეც დავხატე ასი მტრელი,
ცას ღულუნით სერავენ,

თან ვუთხარი: იფრთხილეთ,
ხელს ვერ გახლებთ ვერავინ.
ყველგან თქვენი ბინა არის,
ყველგან თქვენი ჭერია,
ჩემი ქვეყნის ცა—ლაჟვარდი
მულამ მტრედისფერია.



ტრაქტორის უკიცი



თურქმენეთის სსრ

კაიხე მანაკიყულიევი

შაბათ-კვირაობით მე და რეჯეპული ქალაქში ვსეირნობთ ხოლმე. იმ დღეს კი სოფლის დათვლიერება გადავწყვიტეთ. სოფელში ჰვერი საინტერესო რამ ვნახეთ. რეჯეპულისათვის ყველაფერი უჩვეულო იყო. მინდორში ტრაქტორს მოეკარით თვალი.

- ეს რაა?—ვკითხე რეჯეპს.
- ტრაქტორია,—მიპასუხა მან.
- ეს რაღაა, ტრაქტორს რომ უბოია?
- რაა და, ტრაქტორის შვილია!—თქვა რეჯეპმა.

რა ესაა?



მე და რეჯეპულს ძალიან გვიყვარს ნახატებიანი წიგნების თვალიერება. ერთხელ სურათებს ვათვალიერებთ და ერთმანეთს ვეკითხებით:

— ეს რა არის?—ვკითხე ერთ ნახატზე.

- ცხენია!—მიპასუხა მან.
- ეს რაღაა?
- მანქანაა.

მერე კიდევ ერთ ნახატს დავადეთითი:

- აბა, თუ მიხვდებით, ეს რაღაა?
- აჩღღემი გველს ჭამს.—მომიგო მან.

თქვენ თუ მიხვდებით, რა იყო იქ დახატული?

ნახატები თაიხუკაზ ჩიჩინაშვილისა




ყირგიზეთის სსრ

თეთრი მთა

მესა ჯანაზიძე

საკვირველი ამბავია!
ჩვენში ახლა ძლიერ ცხელა,
ველებზე კი ცარცზე თეთრი
მთა გამონდა ვებერთელა.
არც ბაღასი და არც ბუჩქი,
არც კლდე მასზე არსად არი,
არც წყაროა ცივსეცივი,
მთის გულიდან გადმომსკდარი.
ზედ არც თოვლის ნახსია,
არც ავასა დამწვის ძალი,
მაჩვი არ თხრის სოროს არსად,
არც გვაწონებს თავს მუვეალი.
მხოლოდ მთა დგას ცარცზე თეთრი,
უციმციმებს თეთრად კალთა,
მადლა-მადლა მიისწრაფვის,
თითქმის ცაძღე აღიმართა.
გაფეშურე, მივატოვე
უკან ვველა თანატოლი,
ვნახე, თვალწინ ბამბის მთა დგას—
სუფთა, წმინდა, როგორც თოვლი.

10682



საქართველოს
განმანათლებლო
მინისტროს
ბიბლიოთეკა



ტაჯიკეთის სსრ

ჭიდან ამოღებული მთვარის აგავა

ხალხური ზღაპარი

ერთმა, ჩერჩეტმა კაცმა ჭაში მთვარე დაინახა და თქვა: კაცი არ ვიყო, თუ ეს მთვარე ჭიდან არ ამოვიღო.

თოქს კავი გამოიბა, ჭაში ჩაუშვა და ამოქაჩა.

თოქმა ვედარ გაუძლო და გაწყდა. კაცი გულადმა გაიშხლართა და რას ხედავს: მთვარე ცაშია. გაიფიქრა: ამაოდ არ მიშრომია, მთვარე ჭიდან



კავი ჭის ფსკერზე ქვას გამოედო. ჩერჩეტი მინც ქაჩავდა და ქაჩავდა.

ამომიგდია და ახლა ეგერ, თავის ადგილასააო!



საქართველოს სსრ

იპოზ გომეზავილი

ჭიანჭველას ოთხი თავისი ოდენა ტვირთი წამოეკიდა და თან სწიოდა:

— ჩემოდენა ჯაფაში სულიერი არ არის, მაგრამ ქება კი არავისაგან მსმენია. აი, უღონო და ბზულია ფუტკარი კი მარტო ეგავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ვეველა

ჭიანჭველა





მოლდავეთის სსრ

ქუჩოვრეუბი

ლიკია ღალიანი

არც ისე დიდი ხანია,
რაც გავიცანი ტანია;
მე მოლდაველი გახლავართ,
ის მოსკოველი ქალია.

მეგობრები ვართ ნამდვილი,
მაგრამ რა დასახალია—
მე შიხი ენა არ ვიცი
და ჩემი ენა—ტანიაში.

ჰოდა, დავიდეთ წიგნები,
უბრად რომ ველარ გავძელით—
ტანია სწავლობს მოლდავეურს,
მე რუსულ ანბანს ჩავცქერი.



და ფუტკარკი



იმის - ქებაშიაო.

ფუტკარმა ეს გაიგონა და უხანსუს:
— მაშიაჲ, შენ მარტო შენი თავისთვის
ზრუნავ, ჩემი შრომა კი ჩემთვისაც სასურ-
ველთა და ქვეყნისთვისაც. აძიტომ შექე-
ბენო.

ნახატები გიორგი როინიშვილისა.

შთავარი რედაქტორი მ უ ს რ ა ნ მ ა ზ ა ვ ა რ ი ა ნ ი დ ი.

სარედაქციო კოლეგია: კუჭური გომიანოვილი, ლილია იარამი, ჯემალ ლოლუა, მუხამბლა მრგვლიშვილი,
ჯემალ ნინუა, იორანო ძემმარტოლიძე (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხატაძე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის შორე პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური
საბჭოს ეურნალი

ყდაზე ნახატი **ჯემალ ლოლუასი**

ტექნერედაქტორი **ბ. როინიშვილი**

განთქცვის 41-ე წელი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.


საქ. კ. ცესი გამოცემლობა. შეჯ. № 2841. ანაწილის ზომა 91/2 X 13. ტირაჟი 55.000. ტალ. ზომა 60 X 90/8. ხელმოწერილია დასაბეჭდელ 151X-68 წ.

დარალი დაბეჭდილია საქ. კ. ცესი გამოცემლობის პოლიგრაფიკობაჯი ლენინის ქ. № 14. „მილა“ № 11 ნა გრუნიშკო ვაჟკა. 7 ბილანი, პროს. პლახანოვა № 91
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენინის ბრძოლა. № 91. ტელ. 95-87-88, 95-18-06.

ფანი 20 კაბ.

681/209

76035
საქართველოს
საბავშვო გამომცემლობა



მთვარისაკენ—ნახატი ზაზა მესხაშვილისა, 6 წ. თბილისი.

კოხმონავტები მთვარეზე—ნახატი სერგო ნაზარენკოსი, ბელორუსია.

ჩემი მოსკოვი—აბლიკაცია კლია მიქიტოუცისა, 7 წ. მოსკოვი.

გემი—ნახატი ნარიკ ყულიევისა, 7 წ. ბაქო.

მგჯობრები—ნახატი ეგლიტე ვალიტესი, ესტონეთი.

